საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 157 2018 წლის 30 მარტი ქ. თბილისი

„სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/02/2014, 040170020.10.003.017740) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;

ბ) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესი.“;

გ) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

1. ეთხოვოთ საქართველოს პარლამენტს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს საერთო სასამართლოებს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, საქართველოს ეროვნულ ბანკს, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებს, ავტომობილების შესყიდვისა და განაწილებისას იხელმძღვანელონ ამ დადგენილებით განსაზღვრული პრინციპებით.

2. ეთხოვოთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე მიიღონ ნორმატიული აქტი, ამ დადგენილებით განსაზღვრული წესისა და პრინციპების შესაბამისად.“;

დ) მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებზე, გარდა ამ დადგენილების 4^1 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა;“;

ე) მე-4 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 მუხლი:

„მუხლი 4[1]. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალების, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით ჩანაცვლება ხდება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის“:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესი“;

ბ) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესი“ (შემდგომში – წესი) ადგენს ერთიან სტანდარტს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისათვის მსუბუქი ავტომობილების განპიროვნებული და მორიგე ფუნქციების განაწილებისას, ახდენს ავტომობილების კლასიფიკაციასა და კლასების განაწილებას, განსაზღვრავს მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებსა და ზღვრულ ფლობის ღირებულებას.“;

გ) მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება (შემდგომში – დაწესებულება) – საქართველოს სამინისტრო, სახელმწიფო მინისტრის აპარატი, მათ სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება და საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს მთავრობის

ადმინისტრაცია და საქართველოს მთავრობის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, საქართველოს დაზვერვის სამსახური, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ, 50%-ზე მეტი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმო;";

დ) მე-3 მუხლის „ბ", „გ" და „ე" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოს მინისტრი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე და მათთან გათანაბრებული თანამდებობის პირი;

გ) საქართველოს მინისტრებისა და საქართველოს სახელმწიფო მინისტრების პირველი მოადგილე, მოადგილეები, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე და მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირი;";

„ე) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, სსიპ-ის, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ის, 50%-ზე მეტი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს ხელმძღვანელი, გარდა ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;";

ე) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ავტომობილის კლასიფიკაციის წესი ადგენს მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებს თითოეული კლასისათვის, რომელიც გამოიყენება შემდგომი შესყიდვისათვის; დაუშვებელია შესყიდვის დოკუმენტაციაში დადგენილი მინიმალური ტექნიკური მოთხოვნების გაზრდა, გარდა კლასის ცვლილებისა, რომლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილებით შექმნილი

სამთავრობო კომისია შესაბამისი ობიექტურად დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე; მიმწოდებელ სუბიექტებს შეუძლიათ, შეთავაზებისას გააუმჯობესონ მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები, (გაუმჯობესებულ ვარიანტად ჩაითვლება ძრავის კუბატურის ან ცხენის ძალის ზრდა, ავტომატური კოლოფის შეთავაზება, მექანიკური კოლოფის შემთხვევაში, 5 საფეხურზე მეტი გადაცემის შემთხვევა), მაგრამ აღნიშნული არ წარმოადგენს მონაწილის უპირატესობას და ყველაზე დაბალი ფასის და შესყიდვის დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მყოფი პრეტენდენტი ცხადდება გამარჯვებულად, შესაბამისი პროცედურის დაცვით.";

ვ) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს განფასებას (საქონლის მახასიათებლები და ბრენდი, რაოდენობა, ცვლის პარამეტრი და ერთეულის ფასი) ფლობის ღირებულების კომპონენტების მიხედვით, რომელიც შემდგომში აისახება სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებში. შემსყიდველი ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, გამარჯვებულ პრეტენდენტთან აფორმებს მხოლოდ ავტომობილის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" – „თ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული ავტომობილის ფლობის ღირებულების კომპონენტების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, შემსყიდველი ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ან მის მიერ ავტორიზებულ ორგანიზაციასთან (მიმწოდებელთან, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას იმ საგარანტიო პირობების ანალოგიურად, რომელსაც თავდაპირველი მიმწოდებელი სთავაზობს შემსყიდველს) დებს ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილი აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ წლოვანებას ან/და გარანტიის პირობებს.

გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარდგენილი განფასება ძალაში იქნება ავტომობილის საგარანტიო პირობის ამოწურვამდე, ფლობის განმავლობაში, თუ ავტომობილის ტექნიკური მომსახურება განხორციელდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან, საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ შეთავაზებული საგარანტიო სერვისით გათვალისწინებული საქონლის ფასი შეიძლება დაკონვერტირდეს ელექტრონული ტენდერის გამოცხადების დღეს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, აშშ დოლარში, ხოლო ანგარიშსწორებისას, ეროვნულ ვალუტაში, საქონლის ფაქტობრივი მიწოდების დღეს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.";

ზ) მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ყოველი კონკრეტული შესყიდვისას შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს ბაზრის კვლევას და ანალოგიურ კლასში ისტორიული სტატისტიკის ანალიზს ობიექტური სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით (რაოდენობრივი და სხვა კომერციული პირობების გათვალისწინებით), მაგრამ არა უმეტეს ამ წესით დადგენილი ზღვრული ფლობის ღირებულებისა თითოეული კლასის მიხედვით. შემსყიდველი ორგანიზაცია ბაზრის კვლევის ჩატარების და ზღვრული ფლობის ღირებულების (ავტომანქანის, ავტომანქანის სერვისის და საწვავის ხარჯის ჯამი) დადგენის შემდეგ ტენდერს აცხადებს ჯამურ ღირებულებაზე (ავტომანქანის ფასს დამატებული ზღვრული ფლობის ღირებულების და საწვავის ფასი). მიმწოდებელი ვალდებულია, ტენდერის დასრულების შემდეგ დაფიქსირებული ფასი წარმოადგინოს კომპონენტების მიხედვით (ავტომანქანის, ავტომანქანის სერვისის და საწვავის ხარჯის ფასი). წინამდებარე კლასიფიკაცია ვრცელდება ყველა ახალ შესყიდვაზე და არ ითვალისწინებს არსებული სახელმწიფო პარკის მყისიერ მორგებას წინამდებარე წესით განსაზღვრული კლასიფიკაციისა და თანამდებობის მიხედვით.";

თ) დანართის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ეს დანართი განსაზღვრავს ავტომობილების კონკრეტული კლასისათვის მიკუთვნების კრიტერიუმებს, ასევე განსაზღვრული ნიშნით მათი თანამდებობრივი ან ზოგადი დანიშნულებით გამოყენების წინაპირობებს. ვალუტის კურსი წარმოადგენს ელექტრონული ტენდერის გამოცხადების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ გაცვლით კურსს.";

ი) დანართის პრეამბულის „დ.გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე;";

კ) დანართის პრეამბულას დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ" ქვეპუნქტი:

„ვ) შესასყიდი ყველა კლასის ავტომობილი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფერის, გარდა შავისა.";.

ლ) დანართის №1 – №7 ცხრილები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

1. საქართველოს სამინისტროებმა 2018 წლის 25 აპრილამდე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილებით შექმნილ სამთავრობო კომისიას (შემდგომში – კომისია) წარუდგინონ სამინისტროებისა და მათ დაქვემდებარებაში არსებულ უწყებათა ავტოპარკის ოპტიმიზაციის გეგმები.

2. დაევალოთ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებს, მათ ბალანსზე არსებული ავტომანქანები, რომელთა გამოყენება ვერ

ხერხდება გაუმართაობის გამო, ხოლო მათი შეკეთება არარენტაბელურია, უზრუნველყონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 15 ივნისის №125 ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პირობების (დანართი №1) მე-2 მუხლის შესაბამისად, 2018 წლის 15 მაისამდე აღნიშნული ავტომანქანების სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემა. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, მათთვის გადაცემული ავტომობილების შემდგომში განკარგვისა და განაწილების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს კომისიას შესაბამის ფორმატში, auto121@gov.ge – ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

3. ეთხოვოთ საქართველოს პარლამენტს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს საერთო სასამართლოებს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, საქართველოს ეროვნულ ბანკს, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ავტომანქანებთან, რომლებიც გამოსულია მწყობრიდან და არარენტაბელურია მათი შეკეთება, დაკავშირებით იხელმძღვანელონ ამ დადგენილების მე-2 მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

საქართველოს მთავრობის

2018 წლის 30 მარტის

№ 157 **დადგენილების**

დანართი

„ცხრილი №1

მე-4 კლასი	
ძრავის მოცულობა არანაკლებ (მონაცემები დამრგვალებულია მეათედებამდე)	1.0
ცხენის ძალა არანაკლებ	68
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5 საფეხურიანი
სიგრძე არანაკლებ	3500
სიგანე არანაკლებ	1595
სიმაღლე არანაკლებ	1470
წვა (შერეული წვის პირობებში) 100 კმ/ზე არა უმეტეს	6 ლიტრი
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა (ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაბმულობის ქურო, საყრდენი დისკი და მომჭიმი საკისარი)

უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვალოს: შემოთავაზებული მარკის ავტომობილის ნებისმიერ მოდელზე აღებული შესაბამისი ქრაშ ტესტის სერთიფიკატი	NCAP (ევრო ქრაშ ტესტი) ან IIHS (ამერიკული ქრაშ ტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრაშ ტესტი)
ელექტრო შუშები	მინიმუმ წინა ორი
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	წინა 2 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიოსისტემა, უკანა საქარე მინის ელ. გათბობა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი

ცხრილი №2

მე-3 კლასი მსუბუქი ავტომობილები	
ძრავის მოცულობა არანაკლებ (მონაცემები დამრგვალებულია მეათედებამდე)	1.1
ცხენის ძალა არანაკლებ	77
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5 საფეხურიანი
სიგრძე არანაკლებ	3850
სიგანე არანაკლებ	1695
სიმაღლე არანაკლებ	1455

წვა (შერეული წვის პირობებში) 100 კმ/ზე არა უმეტეს	8 ლიტრი
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა (ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაბმულობის ქურო, საყრდენი დისკი და მომჭიმი საკისარი)
უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვალოს: შემოთავაზებული მარკის ავტომობილის ნებისმიერ მოდელზე აღებული შესაბამისი ქრაშ ტესტის სერთიფიკატი	NCAP (ევრო ქრაშ ტესტი) ან IIHS (ამერიკული ქრაშ ტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრაშ ტესტი)
ელექტრო შუშები	მინიმუმ წინა ორი
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი

აუცილებელი მოთხოვნა	წინა 2 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიო სისტემა, უკანა საქარე მინის ელ. გათბობა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ABS

ცხრილი №3

მე-3 კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილები	
ძრავის მოცულობა არანაკლებ (მონაცემები დამრგვალებულია მეათედებამდე)	1.0
ცხენის ძალა არანაკლებ	82
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5 საფეხურიანი
სიგრძე არანაკლებ	3665
სიგანე არანაკლებ	1600
სიმაღლე არანაკლებ	1575
წვა (შერეული წვის პირობებში) 100 კმ/ზე არა უმეტეს	9.3 ლიტრი
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა (ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაბმულობის ქურო, საყრდენი დისკი და მომჭიმი საკისარი)
უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვალოს: შემოთავაზებული მარკის ავტომობილის ნებისმიერ	NCAP (ევრო ქრაშ ტესტი) ან IIHS (ამერიკული ქრაშ ტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრაშ ტესტი)

მოდელზე აღებული შესაბამისი ქრაშ ტესტის სერთიფიკატი	
ელექტრო შუშები	მინიმუმ წინა ორი
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	წინა 2 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიო სისტემა, უკანა საქარე მინის ელ. გათბობა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ABS
აუცილებელი მოთხოვნა	4X4

ცხრილი №4

მე-2 კლასის მსუბუქი ავტომობილები	
ძრავის მოცულობა არანაკლებ (მონაცემები დამრგვალებულია მეათედებამდე)	1.0
ცხენის ძალა არანაკლებ	105
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5 საფეხურიანი
სიგრძე არანაკლებ	4483
სიგანე არანაკლებ	1760
სიმაღლე არანაკლებ	1445

წვა (შერეული წვის პირობებში) 100 კმ/ზე არა უმეტეს	8.5
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა (ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაბმულობის ქურო, საყრდენი დისკი და მომჭიმი საკისარი)

უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვალოს: შემოთავაზებული მარკის ავტომობილის ნებისმიერ მოდელზე აღებული შესაბამისი ქრაშ ტესტის სერთიფიკატი	NCAP (ევრო ქრაშ ტესტი) ან IIHS (ამერიკული ქრაშ ტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრაშ ტესტი)
ელექტრო შუშები	ოთხივე
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 4 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიო სისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ABS

აუცილებელი მოთხოვნა	უკანა საქარე მინის ელ. გათბობა

ცხრილი №5

მე-2 კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილები	
ძრავის მოცულობა არანაკლებ (მონაცემები დამრგვალებულია მეათედებამდე)	1.4
ცხენის ძალა არანაკლებ	120
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5 საფეხურიანი
სიგრძე არანაკლებ	4223
სიგანე არანაკლებ	1765
სიმაღლე არანაკლებ	1570
წვა (შერეული წვის პირობებში) 100 კმ/ზე არა უმეტეს	10.3 ლიტრი
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა (ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაბმულობის ქურო, საყრდენი დისკი და მომჭიმი საკისარი)

უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვალოს: შემოთავაზებული მარკის ავტომობილის ნებისმიერ მოდელზე აღებული შესაბამისი ქრაშ ტესტის სერთიფიკატი	NCAP (ევრო ქრაშ ტესტი) ან IIHS (ამერიკული ქრაშ ტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრაშ ტესტი)
ელექტრო შუშები	ოთხივე
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 4 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიო სისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი, უკანა საქარე მინის ელ. გათბობა
აუცილებელი მოთხოვნა	ABS, მოცურების საწინააღმდეგო სისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	4X4

ცხრილი №6

პირველი კლასის მსუბუქი ავტომობილები	
ძრავის მოცულობა არანაკლებ (მონაცემები დამრგვალებულია მეათედებამდე)	1.5
ცხენის ძალა არანაკლებ	154
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5 საფეხურიანი

სიგრძე არანაკლებ	4820
სიგანე არანაკლებ	1825
სიმაღლე არანაკლებ	1455
წვა (შერეული წვის პირობებში) 100 კმ/ზე არა უმეტეს	15.5 ლიტრი
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა (ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაბმულობის ქურო, საყრდენი დისკი და მომჭიმი საკისარი)
უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვალოს: შემოთავაზებული მარკის ავტომობილის ნებისმიერ მოდელზე აღებული შესაბამისი ქრაშ ტესტის სერთიფიკატი	NCAP (ევრო ქრაშ ტესტი) ან IIHS (ამერიკული ქრაშ ტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრაშ ტესტი)
ელექტრო შუშები	ოთხივე
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 4 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიო სისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი

აუცილებელი მოთხოვნა	ABS, მოცურების საწინააღმდეგო სისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	სავარძლის სიმაღლის მარეგულირებელი
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის სიმაღლის მარეგულირებელი
აუცილებელი მოთხოვნა	უკანა საქარე მინის ელ. გათბობა
აუცილებელი მოთხოვნა	სარკეების ელ. რეგულირება

ცხრილი №7

პირველი კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილები	
ძრავის მოცულობა არანაკლებ (მონაცემები დამრგვალებულია მეათედებამდე)	2.3
ცხენის ძალა არანაკლებ	187
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5 საფეხურიანი
სიგრძე არანაკლებ	4623
სიგანე არანაკლებ	1885
სიმაღლე არანაკლებ	1760
წვა (შერეული წვის პირობებში) 100 კმ/ზე არა უმეტეს	16 ლიტრი
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა (ელექტრონათურები,

	ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაბმულობის ქურო, საყრდენი დისკი და მომჭიმი საკისარი)
უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვალოს: შემოთავაზებული მარკის ავტომობილის ნებისმიერ მოდელზე აღებული შესაბამისი ქრაშ ტესტის სერთიფიკატი	NCAP (ევრო ქრაშ ტესტი) ან IIHS (ამერიკული ქრაშ ტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრაშ ტესტი)
ელექტრო შუშები	ოთხივე
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 4 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიო სისტემა, უკანა საქარე მინის ელ. გათბობა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ABS, მოცურების საწინააღმდეგო სისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	4X4 მექანიკური ან ავტომატური ჩართვის და გამორთვის ფუნქციით
აუცილებელი მოთხოვნა	სავარძლის სიმაღლის მარეგულირებელი
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის სიმაღლის მარეგულირებელი
აუცილებელი მოთხოვნა	შუშების ელ. გათბობა
აუცილებელი მოთხოვნა	სარკეების ელ. რეგულირება“.